საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ,
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (B და C ბლოკების) არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	10.12.2021

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
5. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(არქიტექტურული ნაწილი)*;
8. გზა-კიბის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
9. პანდუსების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
10. აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
11. გარე კედლების დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
12. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
13. კარის დეტალური ნახაზები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
14. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
15. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
16. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილი *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
17. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
18. წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
19. ნიშნების დეტალური ნახაზები;

დასკვნის სარჩევი:

- გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1
- შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2
- კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3
- მაღლივი შენობისადმი მოთხოვების შეფასება ---------- 4
- ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 5
- ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 6
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 7
- გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 8
- მისაწვდომობის შეფასება ---------- 9
- შიგა გარემოს შეფასება ---------- 10
- გარე კედლების შეფასება ---------- 11
- სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნავებობების შეფასება ---------- 12
- წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 13
- ლიფტის შეფასება ---------- 14

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ, #01.17.14.003.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე.

აღნიშნულ ტერიტორიაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 07 სექტემბრის **№** 414 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმა.

განაშენიანების რეგულირების გეგმის და საკადასტრო მონაცემების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთს მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე, დანარჩენ არეალებში კი შემოთვარგლულია რეგისტრირებული კერძო საკუთრებებით. სწორედ აღნიშნული საზოგადოებრივი სივრციდან ხდება ნაკვეთთან საავტომობილო მიმოსვლა. რაც შეეხება უშუალოდ საპროექტო შენობებთან სახანძრო მანქანის მისადგომი გზების რაოდენობას, ადგილმდებარეობას და სხვა პარამეტრებს, აღნიშნული საკითხი არ რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41-ე დადგენილებით. სახანძრო მანქანის მისადგომები გზები და ასეთ გზებთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმები დადგენილი და შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (B და C ბლოკების) მშენებლობა.

დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება დაბალი რელიეფურობით, აღნიშნულის გათვალისწინებით სავალდებულო არ გახდა მიწის დონის განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით. მიწის საკონტროლო დონედ მიჩნეულ იქნა შენობების მიმდებარე გრუნტის ყველაზე დაბალი ზედაპირი.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ქვედა I სართული (-3.30 ნიშნულზე) - შემოზღუდული ავტოსადგომი, სახანძრო ტუმბო და წყლის რეზერვუარი, გენერატორის ოთახი.

B ბლოკი:

- მიწის დონის ზედა I - XII სართული (0.00 - +36.60 ნიშნულებზე) - საცხოვრებელი ერთეულები
- +39.60 ნიშნულზე - არაექსპლუატირებადი სახურავი.

C ბლოკი:

- მიწის დონის ზედა I - XII სართული (0.00 - +36.60 ნიშნულებზე) - საცხოვრებელი ერთეულები
- +39.60 ნიშნულზე - არაექსპლუატირებადი სახურავი.

ასევე დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში განთავსებულია გარე ღია ავტოსადგომი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი და სავაჭრო ცენტრი, რომელიც მოიცავს სასურსათო მაღაზიას, საწყობს, ათთიაქს და საცხობს.

დასაგეგმარებელი კომპლექსის ყველა ნაწილი მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ წინამდებარე დასკვნის მე-9 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია აქტიური და პასიური ხანძარქრობის სისტემებით. თითოეულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემასთან მიმართებაში ვრცელი ანალიზი ჩაშიფრულია წინამდებარე დასკვნის მე-7 თავში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 და 3 საათით, სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში კი დაცულია ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობის ფასადები მოპირკეთდება ფაიფურის ფილებით. ფასადებზე მოეწყობა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, აივნები შემოიზღუდება ალუმინის პროფილიანი მინის მოაჯირებით.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები „ბ“ და“ც“ ბლოკებში, 0.00 - +36.30 ნიშნულებზე) - შეესაბამება 10.4 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება მრავალბინიანი სახლები/შენობები;

  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი „ბ“ და“ც“ ბლოკებში, -3.30 ნიშნულზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (სახანძრო ტუმბოს, წყლის ავზის და გენერატორის ოთახი „ბ“ და“ც“ ბლოკებში, -3.30 ნიშნულზე; გაზის მრიცხველის ოთახები „ბ“ და“ც“ ბლოკებში, 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 306.2 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება საშუალო საფრთხის წარმოების მიზნით გამოყენებული სივრცეები.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საცხოვრებელი ბინები ---------- 18.6 მთლიანი;
  - ავტოსადგომი ---------- 18.6 მთლიანი;
  - ტექნიკური სივრცეები ----------27.9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- ტერიტორიაზე განსათავსებელი შენობების სიმაღლე და სართულიანობა განსაზღვრულია შემდეგი სახით:
  - „ბ“ ბლოკის სიმაღლე უტოლდება 42.70 მეტრს, ხოლო სართულები განსაზღვრულია 1 (ერთი) მიწის დონის ქვედა და 12 (თორმეტი) მიწის დონის ზედა სართულებით.
  - „ც“ ბლოკის სიმაღლე უტოლდება 42.70 მეტრს, ხოლო სართულები განსაზღვრულია 1 (ერთი) მიწის დონის ქვედა და 12 (თორმეტი) მიწის დონის ზედა სართულებით.

- ზემოაღნიშნული მონაცემები, კერძოდ შენობის სიმაღლე და სართულიანობა 503 ცხრილის მიხედვით აკმაყოფილებს შეობისთვის მინიჭებულ კონსტრუქციის ტიპს (I-A სახით), რომლის მიხედვითაც აღნიშნული კონსტრუქციის ტიპის სიმაღლე და სართულიანობა შენობაში გათვალისწინებული დაკავებულობის ჯგუფებისთვის (სც-2, სწ-2 და სმ-1) შეუზღუდავია.

- ივივე შეიძლება ითქვას თითოეული დაკავებულობის ჯგუფის (სც-2, სწ-2 და სმ-1) ფართობებზეც, რომელიც 503 ცხრილის მიხედვით, I-A ტიპის კონსტრუქციისთვის შეუზღუდავია.

- ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის **(I-A)** მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო კომპლექსში შემავალი თითოეული შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-A)**, შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. I-A ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურულ პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ასეთი კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხისხებთან მიმართებაში შესაბამისობა, <u>რომელიც გათვალისწინებულ და დაზუსტებულ უნდა იქნას კონსტრქუქციულ პროექტში.</u>

- თითოეული შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი არქიტექტურული დოკუმენტაციის მიხედვით შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და <u>შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული უნდა იყოს 721 ქვეთავის მიხედვით კონსტრუქციული პროექტის დამუშავებისას:</u>

  ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 3სთ.
  გარე და შიგა მზიდი კედლები ---------- 3სთ.
  იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.
  სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2სთ.

- რაც შეეხება საცხოვრებელი შენობების გარე არამზიდ კედლებს, 602 ცხრილზე დაყრდნობით აღნიშნულის ვალდებულება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან გამომდინარე არ განისაზღვრება (გარდა B ბლოკის 9'-1 ღერძებში ფასადისა), თუმცა გარე კედლებისათვის 1 საათიანი მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხის ვალდებულება დადგინდა 705.8.5 ქვეთავის მიხედვით, რაც არქიტექტურული დოკუმენტაციით დაცულია.

  გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხისადმი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი წესების ანალიზში, რაც სრულად შეესაბამება 602 ცხრილისა და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

4 მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- 202-ე ქვეთავის განმარტების თანახმად, მაღლივი შენობა წარმოადგენს ისეთი ტიპის შენობას, რომლის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 23 მეტრზე ზემოთ. საპროექტო კომპლექსის ორივე ბლოკი განეკუთვნება მაღლივი შენობის კატეგორიას, თუმცა იმი გათვალისწინებით, რომ სახანძრო მანქანის მისადგომის ყველაზე დაბალი დონიდან ბოლო დაკავებული სართულის იატაკის ნიშნულამდე სიმაღლე არ უტოლდება 37 მეტრს, საპროექტო საცხოვრებელი შენობები განეკუთვნება მაღლივის I კატეგორიას.
- საცხოვრებელი ტიპის მაღლივ შენობებში ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება არ ვრცელდება 403.3 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის შესაბამისად.

- კვამლაღმომჩენი, განგაშისა და საავარიო სისტემები მაღლივ შენობებში შეესაბამება 403.4.1 – 403.4.8 ქვეთავებს.
- საპროექტო შენობები აღჭურვილია ბუნებრივი და მექანიკური სანიავებელი სისტემით, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას.
- წარმოდგენილი პროექტით სათადარიგო ელ. სისტემას საპროექტო კომპლექსისათვის წარმოადგენს გენერატორი, რომელიც განთავსებულია -1 სართულის დონეზე „2^2-3^2“ ღერძებში.
- თითოეულ ბლოკში შიგა გასასვლელის გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტად, თანახმად 403.5.1 ქვეთავისა და ამასთანავე კიბეების ვესტიბიულებში შემავალ გზა-კარს შორის მანძილი შეესაბამება 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გზა-კიბეები შეესაბამება 909.20 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნებს, თანახმად 403.5.4 ქვეთავისა.
- მაღლივ ბლოკებში არ ვრცელდება გასასვლელის ბილიკის განათებული აღნიშვნების ვალდებულება შემცველი დაკავებულობიდან გამომდინარე, თანახმად 1024.1 პუნქტისა.

5 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია „ბ“ და“ც“ ბლოკებში, -3.30 ნიშნულზე შემოზღუდული, ხოლო ღია სივრცეში, გარე ტერიტორიაზე გარე ავტოსადგომის მოწყობა.
- გარე ავტოსადგომი არ შეესაბამება 406.3 პუნქტით განსაზრვრულ კერძო გარაჟებს და გადახურულ ავტოსადგომებს და ასევე 406.4 პუნქტით განსაზღვრულ საზოგადოებრივ (დანიშნულების) ავტოსადგომ გარაჟებს, შესაბამისად აღნიშნულ ავტოსადგომს არ აქვს მინიჭებული რომელიმე დაკავებულობის ჯგუფი, რაც წესებთან მიმართებაში სწორია, თუმცა მასზე გავრცელებულია 406.9 ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც სრულად არის შესაბამისობაში წესებთან.

- ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეთავის მოთხოვნას.

- შემოზღუდულ ავტოსადგომში ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ფართობებზე თითოეული იატაკის დონიდან თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.15 მ-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1-ე ქვეთავის მოთხოვნას. უშუალოდ მიკროავტობუსის სივრცეები გათვალისწინებულია გარე სივრცეში, სადაც თავისთავად დაკმაყოფილებულია სიმაღლე 2.50 მეტრის სახით, რაც აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამის მოთხოვნას

- შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც აკმაყოფილებს 406.6.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- შემოზღუდული ავტოსადგომი უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 406.6.3 ქვეთავისა.

- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომის თითოეულ დონეზე გათვალისწინებული შშმ პირთათვის გათვლილი ავტომობილის სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო გაბარიტული ზომები „მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებს“. გარდა ამისა გათვალისწინებულია მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი სივრცე, წესების 1106.5 ქვეთავისა და „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრული ზომების შესაბამისად.

- ცალმხრივი საავტომობილო გზის სიგანე უტოლდება 3.5 მეტრს, ხოლო ორმხრივი 6.5 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საავტომობილო გზის და პანდუსის შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საავტომობილო პანდუსების დახრის პროცენტი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.

- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.

6 ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.
- გარე კედლებში არსებული ღიობები შეუღლად გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად, შეუღლი გამიჯვნა უზრუნველყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის 90 სმ-ზე მეტი სიმაღლის გარე კედლებით და 76 სმ-ზე მეტი, 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კონსოლური ნაშვერებით.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს. იხილეთ სამშენებლო დოკუმენტაციის შემადგენელი წესების ანალიზი.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, რომლის სიმაღლე აღემატება 0,76 მეტრს და რომლის ცეცხლმედეგობაც უტოლდება მისი საყრდენი გარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხს (1 საათს), რაც აკმაყოფილებს 705.11 ქვეთავის მოთხოვნას.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ნაწილობრივ მზიდ კედლებს და ნაწილობრივ ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 და 3 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2

ქვეთავების მოთხოვნას. 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებითა და თარაზული ანაწყობებით გამიჯნულია გზა-კიბეების ვესტიბიულები უშუალოდ გზა-კიბეებისაგან და ასევე მომიჯნავე ფართებისაგან, თანახმად 909.20.2 ქვეთავისა.

- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობის შემადგენელი ნაწილები დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთ დაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით. თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისაგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- ცეცხლმედეგ ზღუდეებზე დაცულია 707.6 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვით ღიობების მაქსიმალური საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-ზე მეტი, ხოლო თითოეული ინდივიდუალური ღიობის მაქსიმალური ფართობი 15 მ^2-ს არ აღემატება.

  ასევე გასათვალისწინებელია, რომ ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებისათვის, თანახმად 707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.
- საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც შეესაბამება 708.1 და 420.2 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, თანახმად 708.3 ქვეთავისა.
- საცხოვრებელი ერთეულების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შეუღი ღიობი მთლიანად შახტის შემომზღუდავშია მოქცეული, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- 0.00 ნიშნულიდან ზემოთ ლიფტის შახტებს არ ემსახურება წინამო (ფოიე), თუმცა აღნიშნული დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით. ლიფტებს ფოიე ემსახურებათ მხოლოდ მიწის დონის ქვედა სართულზე. ასეთი წინამოს (ფოიეს) კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, ხოლო ასეთ კედელში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 20 წუთით.
- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

7 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- თანახმად 903.2.8 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა, სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.
- ავტოსაშხეფი სისტემის ვალდებულება ვრცელდება სწ-2 ჯგუფის შემოზღუდულ ავტოსადგომზე, თანახმად 903.2.10 ქვეთავისა, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებს მიღმა, დერეფნის არეალში, გზა-კიბეების შესასვლელებთან. აღნიშნული გამომდინარეობს სახანძრო-სამაშველო სამსახურის მოთხოვნიდან და ასეთ არეალში მილდგარების მოწყობის საკითხი სავალდებულოდ უნდა შეთანხმდეს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

  გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია თითოეული სართულის დონეზე.

  გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და კვეკხლაღმომჩენი სისტემები:

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა დაყენებულია მთელი კომპლექსის საზღვრებში, 907 ქვეთავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. საერთო გამოყენების ფართობზე, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ასევე სკ-2 ჯგუფის საძინებლებში და საძინებლების შესასვლელებთან განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- იმის გათვალისწინებით, რომ გზა-კიბეებისათვის სავალდებულოა დამოუკიდებლად მექანიკურად განიავებადი წინამოს (ვესტიბიულის) მოწყობა, ასეთი მექანიკური განიავების სისტემა, თანახმად 909.20.6 ქვეთავისა, უნდა ამოქმედდეს კვამლაღმომჩენებით, რომელიც დაყენებულია თითოეული სართულის იატაკის დონეზე, რაც წარმოდგენილი პროექტით დაცულია.

- იმის გათვალისწინებით, რომ სწ-2 ჯგუფის ავტოსადგომი აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემა კი უნდა გააქტიურდეს საშხეფში წყლის ჭავლის გაშვებისთანავე, ავტოსადგომი აღჭურვილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემით და ვინაიდან ავტოსადგომი წარმოადგენს საერთო გამოყენების ფართობს, იგი ასევე უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის სისტემით, რაც შეესაბამება 907.5 და 907.5.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეული ელექტრომექანიკური მოწყობილობის და ლიფტის მოწყობილობის თითოეულ ოთახსა და ლიფტის ფოიეში, მოწყობილია კვამლაღმომჩენები, თანახმად 907.2.13.1.1 ქვეთავისა.

- დამკავებელთა შეტყობინების სისტემას შენობაში წარმოადგენს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა. ცეცხლის ავტომატური ნებისმიერი აღმომჩენის, საშხეფის წყლის ჭავლის მარეგულირებელი მონწყობილობის ან სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფის ამუშავებისას ავტომატურად უნდა გამოიცეს სიგნალი, რომელსაც მოჰყვება ხმოვანი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთო ან ეტაპობრივი ევაკუაცია. რუპორები განთავსებულია თითოეული სართულის დონეზე, მათ შორის ლიფტებთან, გასასვლელის გზა-კიბეებში, თავშესაფრის ფართობებზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 907.5.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- B და C ბლოკის ორივე გზა-კიბეს ემსახურება დამოუკიდებლად მექანიკურად განიავებადი წინამო (ვესტიბიული). ვესტიბიულების მინიმალური ზომა აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნას. შიგა-გასასვლელის გზა-კიბის ვესტიბიულები სხვა ფართებისაგან გამიჯნულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 2 საათს. აღნიშნული აკმაყოფილებს 909.20.2 ქვეთავის მოთხოვნას. სართულიდან გზა-კიბის ვესტიბიულში გასასვლელი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეეხება ვესტიბიულიდან კიბეში შემავალ კარს, ასეთი კარის ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 20 წუთით, თუმცა კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 90 წუთს.

  თავის მხრივ ვესტიბიულის განიავებასთან მიმართებაში დადგენილი ნორმები უნდა შეესაბამებოდეს 909.20.4 ქვეთავში გაწერილ პირობებს, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია საინჟინრო პროექტის დამუშავებისას.

- B და C ბლოკის მომსახურე ყველა ლიფტის შახტი არის დაწნევადი, რაც შესაბამისობაშია 909.21 ქვეთავთან. სანჟინრო დოკუმენტაციის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამავე ქვეთავის მოთხოვნები.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო კომპლექსი აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.

- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია ორივე ბლოკის ფასადზე სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

8 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობის ბლოკები ვერ აკმაყოფილებს 1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამას გარდა აღნიშნულ ბლოკებში თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 500 დამკავებელს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე თითოეულ სართულს ემსახურება ორი გასასვლელის გზა-კიბე.
- შენობებში, თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან გამომდინარე.
- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით), რაც ასევე ნაკლებია 1007.3 ქვეთვით განსაზღვრულ მოთხოვნაზე, რომლის თანახმად მისაწვდომი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უნდა იყოს სულ მცირე 1.20 მეტრი. წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.22 მეტრს, ხოლო თავისუფალი სიგანე კედლიდან მოაჯირამდე განსაზღვრულია 1.36 მეტრის სახით.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით

განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება 1.60 მეტრს, ხოლო გზა-დერეფნის სიგანე სულ მცირე 1.45 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობების მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- სართულების მომსახურე გასასვლელი საშუალება წარმოადგენს შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს. შიგა გასასვლელის გზა-კიბე შენობიდან გამოსასვლელის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება გზა-დერეფნის სასუალებით, რაც შეესაბამება 1022.3 ქვეთავს.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს ემსახურება ვესტიბიულები. ვესტიბიულის ზომები აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მოწყობილი გზა-დერეფნები შეესაბამება 1023 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული სართულის დონეზე გზა-კიბეები განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავისა და 403.5.1 ქვეთავის შესაბამისად.

- გზა-კიბის საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია მინიმუმ 28 სმ-ით, ხოლო ამაღლება 15 – 17.37 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები და უტოლდება სულ მცირე 1.45 მეტრს. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავებზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბეების საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.
- იმის გათვალისწინებით, რომ შენობას 1021 ქვეთავის შესაბამისად ემსახურება ორი გასასვლელი, ასეთი ორი გასასვლელი მისაწვდომია, თანახმად 1007.1 ქვეთავისა. მისაწვდომი გასასვლელი საშუალება მოიცავს გზა-კიბეს, თანახმად 1007.2 ქვეთავისა. ვინაიდან გზა-კიბე წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებას, მისი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1,22 მეტრს. გზა-კიბეების ვესტიბიულებში გათვალისწინებულია თავშესაფრის ფართობები, რაც შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნას. თავშესაფრის ფართობამდე მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 1016.1 ქვეთავით განსაზღვრულ მაქსინალურ მაჩვენებლებს. თავშესაფრის ფართობის რაოდენობა და მისი ზომა შეესაბამება 1007.6.1 ქვეთავის მოთხოვნას და უტოლდება ერთ ერთეულს 76 სმ X 1,3 მ.-ის სახით. ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცე არ ამცირებს გზა-კიბის ვესტიბიულის სიგანეს.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მწკრივში განთავსებული ყველა კარი აკმაყოფილებს 1008.1.8 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული სართულის დონეზე დაკმაყოფილებულია ჩიხებისადმი მოთხოვნა, რაც არ აღემატება დადგენილ მაქსიმალურ ზღვარს, 6,0 მეტრის სახით, თანახმად 1018.4 ქვეთავისა.
- თითოეული სართულის დონეზე უზრუნველყოფილია საერთო სავალი ბილიკისადმი მოთხოვნები 1014.3 ცხრილის შესაბამისად.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეულ ბლოკში, თითოეულ სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილითა და ამობურცული სიმბოლოებით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

9 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო კომპლექსი მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან კომპლექსის შემადგენელი ყველა შენობის ყველა მთავარ შესასვლელემდე (A და B ბლოკში სამ-სამი არსებული შესასვლელიდან ორ-ორი მისაწვდომია) და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო B და C ბლოკების შესასვლელების 60% მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ავტოსადგომები უზრუნველყოფილია 1106.2 ქვეთვის მოთხოვნათა დაცვით შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი სივრცეებით და მისაწვდომი სივრცეების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული ავტოსადგომისათვის ცალ-ცალკე.

- თანახმად 1106.5 ქვეთავისა, ყოველი ექვსი მისაწვდომი ავტოსადგომი სივრციდან, სულ მცირე, ერთი ან მათგან რაღაც ნაწილი მიკროავტობუსებისთვის მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცე უნდა იყოს. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია ორი ასეთი სიდგომი. მიკროავტობუსისათვის მისაწვდომი სივრცეები განთავსებულია შენობის გარეთ, ღია ავტოსადგომზე. მიკროავტობუსისათვის განსაზღვრული პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომი შესასვლელიდან მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები მდებარეობს უმოკლეს მისაწვდომ სვლაგეზზე, რაც შეესაბამება 1106.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო კომპექსის B და C ბლოკებში განთავსებული საცხოვრებელი ერთეულების 2% წარმოადგენს „ა“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენილი „ბ“ ტიპის ერთეულს, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. თითოეულ ბლოკში განთავსებულია 4-4 „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლოფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის. B ბლოკში „7^1-8^1“ ღერძებში განთავსებული, ხოლო C ბლოკში „G^2-B^2” ღერძებში მოწყობილი ლიფტი წარმოადგენს მისაწვდომ საშუალებას. მისაწვდომი ლიფტები აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ორივე ბლოკში თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს, მისაწვდომ ლიფტებს, პანდუსებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი გზა-კიბეები შეესაბამება 1007.3 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იმისათვის, რომ ლიფტი მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. ასევე ასეთი ტიპის ლიფტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემით.

- თავშესაფრის ფართობები, რომლებიც შეესაბამება 1007.6 ქვეთავის მოთხოვნებს, მოწყობილია მისაწვდომი გზა-კიბეების ვესტიბიულების საზღვრებში.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ მისაწვდომ ლიფტებთან და თავშესაფრის ფართობებზე მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას.

  გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.

- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს,

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია B და C ბლოკის მისაწვდომ შესასვლელებთან, ასევე მისაწვდომ ლიფტებთან, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

- მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნები განთავსებულია შენობის არამისაწვდომ შესასვლელებზე და არამისაწვდომ ლიფტებთან, რაც შეესაბამება 1110.2 ქვეთავს.

- ამობურცული ნიშნებით და ბრაილით „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესაბამისად შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი“ გასასვლელის გზა-კიბის და შენობიდან გამოსასვლელის ყველა კართან არის განთავსებული, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის და სართულის ამოსაცნობი ნიშანი, ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით, განთავსებულია თითოეული გზა-კიბის საზღვრებში, 1022.9 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად.

10 შიგა გარემოს შეფასება:

- საცხოვრებელი ბინების საცხოვრებელი ფართობები ნიავდება ბუნებრივად ფანჯრებისა და კარების საშუალებით და გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ასეთი ბუნებრივი განიავების წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.

- რაც შეეხება საპროექტო შენობაში განთავსებულ აბაზანებისა და ტუალეტის ოთახებს, ასეთი სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- შემოზღუდული ავტოსადგომი ნიავდება მექანიკურად, რაც შესაბამისობაშია 1203 და 406.6.2 ქვეთავებთან.

- მექანიკურად ნიავდება საცხოვრებელი ფართების მომსახურე საერთო სარგებლობის დერეფნები.

- საცხოვრებელი ერთეულების საცხოვრებელი ფართობები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბეების თითოეული სართულის დონეზე, გზა-კიბეების მომსახურე ვესტიბიულებში, გასასვლელის გზა-დერეფნებში, შემოზღუდული ავტოსადგომების დონეზე, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა გეგმაში არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები. სამზარეულოებს აქვთ 90 სმ-ზე მეტი სიგანის თავისუფალი გასავლელი, რაც შეესაბამება 1208.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

- ყველა საცხოვრებელ ერთეულს აქვს არანაკლებ, 14,0 $მ^2$ ფართობის ერთი ოთახი მაინც. სხვა საცხოვრებელი ოთახების იატაკის სუფთა ფართობი აღემატება 7,0 $მ^2$-ს, რაც შეესაბამება 1208.3 ქვეთავს.

- კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (სტუდიოები) აკმაყოფილებს 1208.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

11 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად გარე კედლისათვის არაა სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.

- გარე კედლებზე გამოყენებული იქნება ფაიფურის ფილები.

- <u>ფაიფურის ფილებთან მიმართებაში გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები:</u>

  - მიწებებული ერთეულების სისქე არ უნდა აღემატებოდეს 15,8 მმ-ს და ნებისმიერი პირის ზომა უნდა იყოს მაქსიმუმ 60 სმ, არ უნდა იწონიდეს 0,43 კნ/მ2-ზე მეტს. ფაიფურის/მოჭიქული ფილა უნდა მიწებდეს უკანასასყრდენის ნებადართულ სისტემაზე.

- გასათვალისწინებელია, რომ ჰიდროიზოლაცია მოწყობილი უნდა იყოს გარეც კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, თანახმად 1405 ქვეთავის მოთხოვნისა.

12 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში. რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურული პროექტში შენიშვნის სახით, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს მინიმუმ 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- სახურავზედა ნაგებობები არ იკავებს სახურავის ფართობს 1/3-ზე მეტს.

13 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულებში ცალ-ცალკე მოწყობილობები აუცილებელი არ არის, თანახმად 1602.2 ქვეთავის „1“ გამონაკლისისა.
- თითოეული ბინა უზრუნველყოფილია 1602.2 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი სისტემებით. თითოეულ ბინაში განთავსებულია უნიტაზი, ხელსაბანი, აბაზანა/საშხაპე, სამზარეულოს ნიჟარა და სარეცხის მანქანა.

- შემოზღუდული ავტოსადგომი არაა უზრუნველყოფილი ტუალეტის სივრცით, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 1602.3 ქვეთავის გამონაკლისით, ვინაიდან ავტოსადგომს არ ემსახურება მეთვალყურე.

- სმ-1 ჯგუფად კლასიფიცირებული ტექნიკური სივრცეები არ არის უზრუნველყოფილი წყალსადენი სისტემებით, თუმცა აღნიშნული დასაშვებად მიგვაჩნია, ვინაიდან მითითებული ფართები წარმოადგენს ძირითადი ფუნქციის დამხმარე სივრცეებს, რომელიც არ იქნება მუდმივად დაკავებული.

14 ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და კომპლექსის თითოეულ ბლოკს ემსახურება ორ-ორი ლიფტი.

- ლიფტის შახტები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ყველა სართულზე, ისეთი ლიფტის გამოძახების სადგურთან, <u>რომელიც არ გამოიყენება როგორც მისაწვდომი გასასვლელი საშუალება,</u> სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანია განთავსებული, რომელიც დამკავებლებს ამცნობს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბე და არა ლიფტი. ნიშანზე წერია: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბით“, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავს.

- საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ორივე ბლოკის ყველა იატაკზე მოხვედრა შეუძლია ლიფტების გამოყენებით. ასეთი ლიფტების კაბინაში შესაძლებელია 60სმ×2,15მ ზომის, არანაკლებ, 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. ლიფტებთან დატანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ია და განთავსებულია ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს შიგნით, ორივე მხარეს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ვინაიდან საპროექტო შენობის ორივე ბლოკი განეკუთვნება მაღლივის კატეგორიას და ვინაიდან ორივე ბლოკში მოწყობილია მისაწვდომი გასასვლელი ლიფტი, შენობაში არსებულ ლიფტებზე სავალდებულოდ ვრცელდება საგანგებო ვითარების მუშაობის რეჟიმისადმი მოთხოვნები, რაც დაცული უნდა იყოს 1703 ქვეთავის შესაბამისად.

- ლიფტის შახტები უზრუნველყოფილია საჰაეროებით, რომელთაგან ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება. საჰაეროები ლიფტის შახტის თავში მდებარეობს. თითოეული საჰაეროს ფართობი უტოლდება 0,28 მ^2-ს.

- ლიფტის სამანქანე ოთახებთან მიდგომა ხორციელდება გზა-კიბეების საშუალებით, რაც შეესაბამება 1706.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტის სამანქანო ოთახები ცეცხლმედეგი ზღუდეებით და თარაზული ანაწყობით გამიჯნულია მომიჯნავე ფართებისაგან და ასეთი გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, ხოლო ცეცხლმედეგ ზღუდეში მოწყობილი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 1706.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტებს -3.30 ნიშნულზე ემსახურება ფოიე, რაც შეესაბამება 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასეთი ფოიე მომიჯნავე ფართებისაგან გამიჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ცეცხლმედეგი ტიხრებით, ხოლო ასეთ ტიხარში გამოჭრილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 20 წუთით.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ, #01.17.14.003.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (B და C ბლოკები) არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ არქიტექტურული პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:
ვ. ზაგაშვილი

შპს „BSC” - ხელმძღვანელობაზე წარმომადგენელი პირი:
თ. სულავა

თარიღი: 10.12.2021

ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საფუძველზე შეფასდა:		
✓	მისაწვდომი სვლაგეზი:	• მისაწვდომი სვლაგეზის საფარი ზედაპირები; • კარები; • პანდუსები; • ლიფტი.
✓	ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები:	• მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეები; • მისაწვდომი გზაკიბეები;
✓	საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:	• ნიშნები.
✓	მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:	• „ა“ ტიპის ერთეულები. • „ბ“ ტიპის ერთეულები.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობებში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, პანდუსებს და ლიფტებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303 ქვეთავის მოთხოვნა.

- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობებში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

- საპროექტო მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- საპროექტო შენობებში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე აღემატება 820 მმ-ს, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს 1000 - 1050 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. პანდუსები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- პანდუსების დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, კერძოდ ყველა პანდუსების დახრის პროცენტულობა უტოლდება 7.89%-ს, რაც შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- პანდუსების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის აღემატება 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.

- პანდუსების სვლის ამაღლება შეადგენს არაუმეტეს 450 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.6 ქვეთავთან.

- პანდუსების თავსა და ბოლოში უზრუნველყოფილია ბაქნები, ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს, ბაქნების თავისუფალი სივანე უტოლდება პანდუსის სივანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე შეადგენს 1500 მმ-ს და აღემატება კიდეც. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

- სადაც გზა-კარი პანდუსის ბაქნების მომიჯნავედ მდებარეობს, მანევრირებისათვის საჭირო თავისუფალი სივრცე გადადის ბაქნის ფართობზე, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 405.7.5 ქვეთავის შესაბამისად.

- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.

- პანდუსების კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას.

- პანდუსის კიდეებზე, რომელთაც არ ესაზღვრება კედელი, მოწყობილია რელსები, რომელშიც არ ხდება 100 მმ დიამეტრის მქონე სფერო, რაც შეესაბამება 405.9.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

4. ორივე ბლოკში მოწყობილია 407 ქვეთავის შესაბამისი ლიფტები. ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 407 ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (407 ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- მისაწვდომი ლიფტის კაბინის კარი მდებარეობს ცენტრიდან მოშორებით, მისი სუფთა სიგანე შესაბამისობაშია 407.3.6 ქვეთავთან.

- ლიფტის კაბინის იატაკის სიღრმე 1300 მმ-ია, ხოლო სიგრძე 1700 მმ, რაც აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. **საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

   - მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.

   - მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცეები დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.

   - მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეებს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი ავტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

   - ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302 ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.

   - შემოზღუდული ავტოსადგომის 502.6 ქვეთავის შესაბამისად შვეული თავისუფალი სივრცისადმი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნა არ არის საავალდებულო, ვინაიდან შემოზღუდული ავტოსადგომის სივრცეში განთავსებულია მხოლოდ მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის სადგომი.

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას - „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასავლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

- სადაც მისაწვდომი სვლაგეზები გადის ავტოსადგომის არეალებში, სვლაგეზები განცალკევებულია საავტომობილო გზიდან, რაც შეესაბამება 507.1 ქვეთავს.

2. **მისაწვდომი კიბეებისადმი მოთხოვნები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:**

- თითოეული კიბის მარშის საფეხურები შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.

- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.

- კიბის ყოველი საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.

- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505 ქვეთავის შესაბამისი სახელურები:

  - ✓ სახელურები განთავსებულია კიბეების ორივე მხარეს;

- ✓ სახელურები უწყვეტად უნდა მიუყვება თითოეული კიბის მარშის მთელ სიგრძეს, ხოლო შიგა სახელურები უწყვეტად მიუყვება მარშებს.
- ✓ სახელურების ხელმოსაჭიდი ზედაპირების თავი კიბის წინაპირებიდან არაუმცირეს, 860 მმ-ის და არაუმეტეს, 1000 მმ სიმაღლეზეა განთავსებული.
- ✓ ხელმოსაჭიდ ზედაპირებსა და მომიჯნავე ზედაპირებს შორის, არაუმცირეს, 40 მმ თავისუფალი სივრცეა შენარჩუნებული.
- ✓ ხელმოსაჭიდი ზედაპირები არის უწყვეტი.
- ✓ სახელურების გარე დიამეტრი უტოლდება 30 მმ-ს.
- ✓ სახელურების გაგრძელებები შეესაბამება 505.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბეების საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. კიბის დონის ამოსაცნობი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

- ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედებიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

1. **საპროექტო შენობებში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:**

- თითოეულ გასასვლელის გზა-კიბეებში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ გასასვლელის კართან

მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- სართულის ამოსაცნობად, თითოეულ შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, **ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.**

- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. **ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.**

- თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. **ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომ შესასვლელებთან და მისაწვდომ ლიფტებთან. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 ქვეთავს.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მიკროავტობუსის და მსუბუქი ავტომობილისთვის განკუთვნილ ავტოსადგომ სივრცეში. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნები, რომელიც მიუთითებს სვლაგეზს უახლოესი მისაწვდომი ელემენტისკენ, განთავსებულია ლიფტებთან, რომლებიც არ არის მისაწვდომი და შესასვლელებთან, რომლებიც არ არის მისაწვდომი. **ნიშნები შეესაბამება 703.6.3 ქვეთავს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.

  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.

  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.

  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.

  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.

  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.

- შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.

- სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემკვეთი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.

  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

  - ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.

  - ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.

  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.

  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

1. საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:

<u>„ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:</u>

- „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების მთავარი შესასვლელი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე საერთო გამოყენების ფართობებიდან. მთავარი შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.

- ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი; ასევე სვლაგეზის შემადგენელია ნაწილია კარები, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.

- სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404 ქვეთავს.

- სარეცხი მანქანა შეესაბამება 611 ქვეთავს, კერძოდ პარალელურად მისაწვდომი იატაკის თავისუფალი სივრცის შუახაზი დაბალანსებულია სარეცხის მანქანის კარის გაღების შუაწერტილიდან არაუმეტეს 600 მმ-ზე.

- ერთეულებში მოწყობილი ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
  - ✓ ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.
  - ✓ გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
  - ✓ ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავს.
  - ✓ უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
  - ✓ აბაზანა შეესაბამება 607 ქვეთავს.

- ერთეულებში მოწყობილი სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

<u>„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები:</u>

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.

- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულების მთავარი შესასვლელი მდებარეობს მისაწვდომ სვლაგეზზე საერთო გამოყენების ფართობებიდან. მთავარი შესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.

- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ასევე სვლაგეზის შემადგენელია ნაწილია კარები, თანახმად 1104.3.2 ქვეთავისა.

- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.

- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.

- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.

- სარეკლ მანქანებთან გათვალისწინებულია პარალელურად მისაწვდომი თავისუფალი სივრცეები, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.

- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:

  - ✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში, თანახმად 1104.11.2.1 ქვეთავისა.
  - ✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.
  - ✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.
  - ✓ აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 ქვეთავს.
  - ✓ საშხაპე შეესაბამება 1104.11.3.1.3.3 ქვეთავს.

- სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩასთან (ყოფ. 5 დეკემბრის ქ.) „დოსააფი“-ს შენობის მიმდებარედ #01.17.14.003.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (B და C ბლოკების) მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:
ვ. ზაგაშვილი

შპს „BSC” - ხელმძღვანელობაზე წარმომადგენელი პირი:
თ. სულავა

თარიღი: 18.11.2021

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Exterior Wall and Opening Protection

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21821

AIA: IC9786

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Mixed Occupancies

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21800

AIA: IC9693

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Use of Fire and Smoke Separations

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21794

AIA: IC9687

HSW:

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Accessible Means of Egress

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Vera Zagashvili

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21809

AIA: IC9734

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Accessible Means of Egress

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21809

AIA: IC9734

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Mixed Occupancies

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21800

AIA: IC9693

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Use of Fire and Smoke Separations

at

2019 ABM Las Vegas

on

21 October, 2019

0.15 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21794

AIA: IC9687

HSW:

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

Exterior Wall and Opening Protection

at

2019 ABM Las Vegas

on

22 October, 2019

0.3 CEU

Tamta Sulava

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

n/a

Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-21821

AIA: IC9786

HSW: yes

8222930

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Vera Zagashvili Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Vera Zagashvili Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Building Planning

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Tamta Sulava Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL®

LEARNING center

ICC PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17990

AIA: IC9449

HSW: yes

INTERNATIONAL CODE COUNCIL

recognizes participation in

2018 IBC Essentials: Means of Egress & Fire Protection

at

ABM in Richmond, Virginia

on

29 October, 2018

0.3 CEU

Tamta Sulava Mrs.

Student Name (Please Print Name Clearly)

Tracy L Lendi, PhD., MBA
Vice President, Training and Education

John Gibson
Instructor

ICC INTERNATIONAL CODE COUNCIL

LEARNING center

PREFERRED EDUCATION PROVIDER 1010-17999

AIA: IC9419

HSW: yes

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 – 040

გადაეცემა

თამთა სულავას

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№ 2017 –039

გადაეცემა

ვერა ზაგაშვილს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო"

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

აქტი: **ა60.01180301**

თარიღი: **30.01.2018**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა თამთა სულავას (პირადი №01026015533) მასზედ, რომ იგი 2010 წლის 02 აგვისტოდან 2017 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის I და II კლასის შენობა – ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ლევან გოროზია

აქტი: **ა60.01180302**

თარიღი: **30.01.2018**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ვერა ზაგაშვილს (პირადი №01008020599) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2017 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის I და II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ლევან გოროზია

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S

DIPLOMA

BA № 000445

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the Technical University of Georgia

Ms. Vera Zagashvili

born on July 8, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00404

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის

დიპლომი

BA № 000445

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით

ვერა ზაგაშვილს

დაბადებულს 1986 წლის 8 ივლისს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 სარეგისტრაციო # 00404

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
APOLLON KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART

#07/14-539

27 03 2015

ცნობა

თამთა სულავა 2006 წლის 2 სექტემბერს №003 ს/ხ ბრძანების საფუძველზე ჩაირიცხა სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის ბაკალავრიატის I სემესტრში. 4 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, 2010 წლის 13 აგვისტოს №112 ს/ხ ბრძანების საფუძველზე დაიცვა სადიპლომო ნამუშევარი და მიენიჭა არქიტექტურის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

რექტორი გიორგი გუგუშვილი

საქართველო, 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 22, ტელ: (+995 320) 2 936 959, ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 934 665
22, Griboedov str. 0108, Tbilisi, Georgia, tel : (+995 32) 2 936 959, tel/fax: (+995 32) 2 934 665, www.art.edu.ge

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S

DIPLOMA

MD № 001548

By the decision N 2 July 28, 2010

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Vera Zagashvili

was awarded the Degree of Master of

Engineering in

Architecture

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MD № 001548

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2010 წლის 28. 7 № 2

გადაწყვეტილებით ვერა ზაგაშვილს

მიენიჭა ინჟინერინგის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

არქიტექტურის სპეციალობით.

Registration № 01546

თბილისი
Tbilisi

25 რიცხვი/day 3 თვე/month 2011 წელი/year

დეკანი
Dean

/ გოგა მიქიაშვილი /

რექტორი
Rector

/ არჩილ ფრანგიშვილი /

Seal

ახსნა-განმარტებითი ბარათი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის #5710440 02.12.2021წ. გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მე-11 პუნქტით ითხოვთ საპროექტო შენობის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების 406.9.4.7 ქვეთავთან შესაბამისობის დადასტურებას. რასთან დაკავშირებითაც გთავაზობთ ჩვენს განმარტებას:

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში აღნიშნული ქვეთავი განმარტებულია შემდეგი სახით:

„ავტოსადგომთან მისადგომი უნდა იყოს, სულ მცირე, ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელი ან ცალმხრივი შესასვლელი და ცალმხრივი გამოსასვლელი სააგტომობილო გზა ან პანდუსი“.

საპროექტო გადაწყვეტით საპროექტო შენობის -3.30 ნიშნულზე სააგტომობილო მიმოსვლისათვის განკუთვნილია ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილი შესასვლელი - პანდუსის სახით, ცალმხრვი მოძრაობისათვის განკუთვნილი გზა და ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილი გამოსასვლელი, ასევე პანდუსის სახით. ვინაიდან შენობაში განთავსებულია ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილი გზა და პანდუსი. ვხელმძღვანელობთ ტექნიკური რეგლამენტის 406.9.4.1 ქვეთავით, რომელიც ჩაშიფრულია შემდეგი სახით:

„ყველა ავტოსადგომს უნდა ჰქონდეს ერთი ან ერთზე მეტი სააგტომობილო გზა ან პანდუსი, რომლის სიგანეა:

1. ცალმხრივი შესასვლელ/გასასვლელისთვის, სულ მცირე, 3,5 მ;“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ #AR1863095 განაცხადით რეგისტრირებული საპროექტო დოკუმენტაცია შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენტი - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან. შენობასა და საპროექტო მიწის ნაკვეთზე განთავსებული სააგტომობილო გზები და პანდუსები სრულად პასუხობენ 406 ქვეთავის მოთხოვნებს, მათ შორის გზისა და სააგტომობილო პანდუსის სიგანის ნაწილში.

ვიმედოვნებთ, რომ ზემოაღნიშნული განმარტება არქიტექტურის სამსახურისათვის იქნება მისაღები.

პატივისცემით,

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებისა და მისაწვდომობის სპეციალისტები,

თ. სულავა და ვ. ზაგაშვილი

12.10.2021წ.

